



საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 40 83

09/11/2017

ელექტრონული აუქციონის საშუალებით, ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ხონში მოსე ხონელის ქუჩა N45-ში მდებარე საპრივატიზებო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საწყისი ფასის 50 %-ზე დაბალი ფასის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, 38-ე მუხლის და ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 7 ნოემბრის N39/6300 წერილის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა** :

მუხლი 1. ელექტრონული აუქციონის საშუალებით, ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ხონში მოსე ხონელის ქუჩა N45-ში მდებარე 21824.00 კვმ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 37.07.07.367) საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს საწყისი ფასის 50%- ზე დაბალი ფასით, კერძოდ 200 000 ლარით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ძმები ნინუების ქ. #1) ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე